საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 7 22 01583957

13/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლეს საბჭოს წევრს ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

2022 წლის 23 №09-02-16/259 წერილის (რეგისტრაციის №1366131; 23/05/2022) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან ,,112“ მიმდინარე წლის 2022 წლის 7 მაისს 00:00 საათიდან - 05:00 საათამდე, ქალაქ ბათუმში ხანძრის ფაქტთან დაკავშირებით, სულ შემოსულია 1 (ერთი) შეტყობინება, კერძოდ, 00:50 საათზე ქ. ბათუმში, ნოე ჟორდანიას ქ. №10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ხანძრის შესახებ.

მიღებული შეტყობინება 00:51 საათზე, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ბათუმის I სახანძრო-სამაშველო განყოფილების საოპერატოროს ("აჭარა ცენტრი").

ინციდენტზე 00:52 საათზე რეაგირების მიზნით, გავიდა აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ბათუმის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს I სახანძრო-სამაშველო განყოფილების 3 (სამი) ავტოცისტერნა და 1 (ერთი) სამაშველო ავტომანქანა, ეკიპაჟი შედგებოდა 15 - მეხანძრე-მაშველისაგან.

00:56 საათზე, ინციდენტის ადგილას მივიდა ბათუმის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს I სახანძრო-სამაშველო განყოფილების სახანძრო ავტომანქანა და სამაშველო ავტომანქანა, ხოლო ორმა სახანძრო ავტომანქანამ, მათი მოცულობის, ქუჩის სივიწროვისა და იქ არსებული ჩახერგილობის გამო, ინციდენტის ადგილზე მისვლა დროულად ვერ შეძლეს. შებამისად, ინციდენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციისა და ხალხმრავლობის გამო, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მითითებით, ორმა სახანძრო ავტომანქანამ გააგრძელა სვლა მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით კ. გამსახურდიას ქუჩიდან დ. თავდადებულის ქუჩამდე, ხოლო შემდეგ რუსთაველის ქუჩის გავლით გოგებაშვილის

ქუჩამდე (ხანძარი იყო დაფიქსირებული ზღვის სანაპიროს ათვლიდან ახლოს გოგებაშვილის ქუჩაზე).

სახანძრო ავტომანქანებზე ჩართული იყო სპეციალური სიგნალი - წითელი და ლურჯი ფერის ციმციმა, ავტომანქანები შექმნილი სიტუაციის გამო, მოძრაობდნენ ნელი სვლით.

პირველადი ინფორმაციით, ინციდენტის ადგილას სასხვენო გადახურვაში იყო დაკვამლიანება, ნახევრად კაპიტალურ სხვენში იწვოდა ჭერი.

ხანძრის შედეგად დაიწვა ორსართულიანი, იტალიური ტიპის საცხოვრებლის სახლის სასხვენო გადახურვის ხის კონსტრუქცია, დაახლოებით 2 კვ.მ. ფართობზე. ხანძარი ლოკალიზებულ იქნა 01:11 საათზე, ხოლო ლიკვიდირებულ იქნა 01:35 საათზე. ინციდენტის ადგილას შესაბამისი სამუშაოების დასრულების შემდეგ (02:00 სთ), სახანძრო-სამაშველო ჯგუფები, 02:20 სთ-ზე, დაბრუნდნენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფის განთავსების ადგილას.

აღნიშნულ ფაქტზე შედგენილია ხანძრის (წაკიდების) აქტი, რომელიც ხანძრის გაჩენის მიზეზის დადგენის მიზნით გადაგზავნილია შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სუხიშვილი დავით